| წარმომადგენლობითი ხარჯი                      | -            | 24           |
| საგადასახადო ხარჯი                           | 39           | 4            |
| რემონტის ხარჯი                               | 17           | 2            |
| არარეზიდენტის მომსახურების ხარჯი             | -            | 1            |
| სხვა ხარჯები                                 | 62           | -            |
| <b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>4,118</b> | <b>4,178</b> |

**19. სხვა ფინანსური ხარჯი**

| სხვა ფინანსური ხარჯი            | 2019         | 2018         |
|---------------------------------|--------------|--------------|
| საპროცენტო ხარჯი                | 3,663        | 2,649        |
| <b>სულ სხვა ფინანსური ხარჯი</b> | <b>3,663</b> | <b>2,649</b> |

**20. სხვა არასაოპერაციო ხარჯი**

სხვა არასაოპერაციო ხარჯი შედგება წილის რეალიზაციის დროს გაწეული საკონსულტაციო მომსახურების ხარჯებისგან, მიწის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯებისგან, სავაჭრო ნიშნის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებით დარიცხული ჯარიმების, მოთხოვნებთან დაკავშირებული ანარიცხებისა და სხვა არასაოპერაციო ხარჯებისგან. არასაოპერაციო ხარჯები 2019 წლისათვის შეადგენს 3,161 ათას ლარს.

## 21. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

### სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

### საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

## 22. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

### საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

სს „არგო“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2019 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში '000

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| 2019                                      | აშშ დოლარი        | ევრო            | ლარში          | სულ             |
|-------------------------------------------|-------------------|-----------------|----------------|-----------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>                 |                   |                 |                |                 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                | -                 | 5,987           | -              | 5,987           |
| ფული და ფულის ექვივალენტები               | -                 | 71              | 1,438          | 1,509           |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>             | -                 | 6,058           | 1,438          | 7,496           |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>            |                   |                 |                |                 |
| ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე              | -                 | -               | 2,961          | 2,961           |
| გრძელვადიანი სესხები                      | 17,181            | -               | -              | 17,181          |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები             | -                 | -               | 5,705          | 5,705           |
| გრძელვადიანი სესხის მიმდინარე გადასახდელი | 31                | -               | -              | 31              |
| მოკლევადიანი სესხები                      | 52                | -               | -              | 52              |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>        | 17,263            | 0               | 8,666          | 25,930          |
| <b>წმინდა პოზიცია</b>                     | <b>(17,263)</b>   | <b>6,058</b>    | <b>(7,228)</b> | <b>(18,434)</b> |
| <b>2018</b>                               | <b>აშშ დოლარი</b> | <b>ევრო</b>     | <b>ლარში</b>   | <b>სულ</b>      |
| <b>ფინანსური აქტივები</b>                 |                   |                 |                |                 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                | -                 | 3,973           | -              | 3,973           |
| ფული და ფულის ექვივალენტები               | -                 | 551             | -              | 551             |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>             | -                 | 4,524           | -              | 4,524           |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>            |                   |                 |                |                 |
| ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე              | -                 | 1,675           | -              | 1,675           |
| გრძელვადიანი სესხები                      | -                 | 15,732          | -              | 15,732          |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები             | -                 | 3,693           | -              | 3,693           |
| გრძელვადიანი სესხის მიმდინარე გადასახდელი | 150               | -               | -              | 150             |
| მოკლევადიანი სესხები                      | 6,789             | -               | -              | 6,789           |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>        | 6,939             | 21,100          | -              | 28,039          |
| <b>წმინდა პოზიცია</b>                     | <b>(6,939)</b>    | <b>(16,576)</b> | <b>-</b>       | <b>(23,515)</b> |

**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 10) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

| 2019                                      | 1 წლამდე        | 1-5 წლამდე        | 5 წელზე მეტი        | სულ             |
|-------------------------------------------|-----------------|-------------------|---------------------|-----------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>                 |                 |                   |                     |                 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                | -               | 5,987             | -                   | 5,987           |
| ფული და ფულის ექვივალენტები               | -               | 71                | 1,438               | 1,509           |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>             | -               | 6,058             | 1,438               | 7,496           |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>            |                 |                   |                     |                 |
| ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე              | -               | -                 | 2,961               | 2,961           |
| გრძელვადიანი სესხები                      | -               | -                 | 17,181              | 17,181          |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები             | -               | -                 | 5,705               | 5,705           |
| გრძელვადიანი სესხის მიმდინარე გადასახდელი | 31              | -                 | -                   | 31              |
| მოკლევადიანი სესხები                      | 52              | -                 | -                   | 52              |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>        | <b>83</b>       | <b>0</b>          | <b>25,847</b>       | <b>25,930</b>   |
| <b>წმინდა პოზიცია</b>                     | <b>(17,263)</b> | <b>6,058</b>      | <b>(24,409)</b>     | <b>(18,434)</b> |
| <b>2018</b>                               | <b>1 წლამდე</b> | <b>1-5 წლამდე</b> | <b>5 წელზე მეტი</b> | <b>სულ</b>      |
| <b>ფინანსური აქტივები</b>                 |                 |                   |                     |                 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                | -               | 3,973             | -                   | 3,973           |
| ფული და ფულის ექვივალენტები               | -               | 551               | -                   | 551             |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>             | -               | <b>4,524</b>      | -                   | <b>4,524</b>    |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>            |                 |                   |                     |                 |
| ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე              | -               | 1,675             | -                   | 1,675           |
| გრძელვადიანი სესხები                      | -               | 15,732            | -                   | 15,732          |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები             | -               | 3,693             | -                   | 3,693           |

სს „არგო“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2019 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში '000

|                                           |                |                 |          |                 |
|-------------------------------------------|----------------|-----------------|----------|-----------------|
| გრძელვადიანი სესხის მიმდინარე გადასახდელი | 150            | -               | -        | 150             |
| მოკლევადიანი სესხები                      | 6,789          | -               | -        | 6,789           |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>        | <b>6,939</b>   | <b>21,100</b>   | <b>-</b> | <b>28,039</b>   |
| <b>წმინდა პოზიცია</b>                     | <b>(6,939)</b> | <b>(16,576)</b> | <b>-</b> | <b>(23,515)</b> |

## კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით.

## 23. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

|                                           | საბალანსო<br>ღირებულება | 31-დეკ-2019<br>სამართლიანი<br>ღირებულება | საბალანსო<br>ღირებულება | 31-დეკ-2018<br>სამართლიანი<br>ღირებულება |
|-------------------------------------------|-------------------------|------------------------------------------|-------------------------|------------------------------------------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                | 5,987                   | 5,987                                    | 3,433                   | 3,433                                    |
| ფული და ფულის ექვივალენტები               | 1,509                   | 1,509                                    | 551                     | 551                                      |
| ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე              | 2,961                   | 2,961                                    | 1,675                   | 1,675                                    |
| გრძელვადიანი სესხები                      | 17,181                  | 17,181                                   | 15,732                  | 15,732                                   |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები             | 5,705                   | 5,705                                    | 3,695                   | 3,695                                    |
| გრძელვადიანი სესხის მიმდინარე გადასახდელი | 31                      | 31                                       | 150                     | 150                                      |
| მოკლევადიანი სესხები                      | 52                      | 52                                       | 6,789                   | 6,789                                    |

## 24. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიში, რომელიც

აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

| დაკავშირებული მხარის დასახელება        | ოპერაციის შინაარსი            | 2019 წელს<br>განხორციელებული<br>ოპერაციის თანხა ათას<br>ლარში |
|----------------------------------------|-------------------------------|---------------------------------------------------------------|
| სს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია            | სავაჭრო და სხვა მოთხოვნები    | 197                                                           |
| სს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია            | სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 281                                                           |
| დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხი | მიღებული სესხი                | 49                                                            |

დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები:

|                         | 2019       |
|-------------------------|------------|
| მენეჯმენტის ანაზღაურება | 368        |
| <b>სულ</b>              | <b>368</b> |

## 25. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები

კომპანიას აქვს განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განმარტებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით ხასიათდება, რაც ხანდახან საკმარისად ნათელი არ არის და სხვადასხვა განმარტებებს ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია რაიმე ვალდებულების დაკისრება დამატებითი გადასახადების, ჯარიმის ან პირგასამტეხლოს გადასახდელად, თუ იმ წლის დასასრულიდან, როდესაც დარღვევა მოხდა, ექვსი წელია გასული. ასეთი გარემოებები, რომლებსაც საქართველოში საგადასახადო რისკებისკენ მივყავართ, არის უფრო მაღალი, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ყველა შესაძლო საგადასახადო პირობითი

ვალდებულება ინახება და აღინუსხება კომპანიის მიერ სათანადოდ. კომპანია ექვემდებარება სამართლებრივ სარჩელებს და საჩივრებს.

## 26. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო. კომპანიას აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან და მიმდინარე წელს მოგება.

## 27. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 23 სექტემბერი. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა. კომპანიის საქმიანობა არ შეჩერებულა Covid 19-ის გამო დაწესებული შეზღუდვებით, მენეჯმენტმა მიმოიხილა ეკონომიკაზე გლობალური პანდემიის ნეგატიური გავლენის ეფექტი, განაახლა საპროგნოზო მონაცემები და საქმიანობის უწყვეტობაზე მსჯელობისას გაითვალისწინა მისი ეფექტი მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში.

სს „არგო“

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

## სს „არგო“

### მმართველობის ანგარიშგება მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ჩვენი ვალდებულებაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან და ამავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან შესაბამისობის თაობაზე.

აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით ჩვენ განვსაზღვრავთ არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მივუთითებთ მათ არსს.

### მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება მოქმედ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

### მოსაზრების საფუძველი

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა სს „არგო“-ს თანხმლები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. სს „არგო“-ს მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

სს „ფი ქეი ეფ კაიზენმა“ ჩაატარა შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონის შესაბამისად საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებას, აუდიტის შედეგებს, მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

დავით გვეტაძე

სს „ფი ქეი ეფ კაიზენი“

25 იანვარი, 2021 წელი

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

დავით გვეტაძე



სს „ფი ქეი ეფ კაიზენი“

25 იანვარი, 2021 წელი

## 1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

სააქციო საზოგადოება ლუდსახარში “არგო“-ს ისტორია იწყება 2017 წლის მარტიდან, როდესაც კომპანიამ შეიძინა ცნობილი ლუდსახარში “კასტელ საქართველოს” აქტივები და საქართველოს ბაზარზე შევიდა როგორც ახალი, ყველასთვის უცნობი მოთამაშე. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას არ გააჩნდა კარგი სასტარო პოზიცია და როგორც მწარმოებელი, იყო უცნობი ქართველი მომხმარებლისათვის, საბოლოოდ მისი სტარტი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მისი წარმატება განპირობებული იყო შემდეგი რამდენიმე ფაქტორით:

1. გამოცდილი და მაღალკვალიფიციური მენეჯმენტი
2. სწორად აწყობილი საწარმოო პროცესები
3. სტანდარტების შესაბამისი და უმაღლესი ხარისხის პროდუქცია
4. ხარისხის პერმანენტული კონტროლი
5. ეფექტური ლოჯისტიკა და ა.შ.

კომპანიას გააჩნია გამართული სადისტრიბუციო ქსელი როგორც თბილისის ასევე მთელი საქართველოს მასშტაბით. არგოს პროდუქციის რეალიზაცია ხდება არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოურ ბაზრებზეც (ექსპორტი) – ჩინეთი, პოლონეთი, რუსეთი, ამერიკა, აზერბაიჯანი, უკრაინა, საფრანგეთი და ა.შ.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი აქტივობა არ ახდენს გარემოზე რაიმე სახის ნეგატიურ ზეგავლენას და შესაბამისად გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით ანგარიშს არ აწარმოებს.

ამჟამად არგოს დასაქმებული ყავს 500-მდე თანამშრომელი. კომპანიის საკადრო პოლიტიკა ითვალისწინებს თანამშრომლების შერჩევას ღია კონკურსის წესით, ხოლო მათი გათავისუფლების პროცედურები სრულიად შეესაბამება საქართველოს შრომითი კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კომპანიის მმართველი გუნდი ორიენტირებულია დასაქმებულ პერსონალთან ხანგრძლივ და სტაბილურ ურთიერთობაზე. ამასთანავე კომპანია ზრუნავს კადრების პროფესიულ განვითარებაზე პერიოდული ტრენინგებითა და სასწავლო კურსებზე დასწრების ორგანიზებით.

### 1.1. ინფორმაცია შვილობილ კომპანიაზე


სააქციო საზოგადოება “არგოს” არ გააჩნია შვილობილი კომპანიები.

## 2. ინდუსტრიის მიმოხილვა

ბოლო წლების განმავლობაში, ლუდის ინდუსტრია საკმაოდ სწრაფად ვითარდება. 2019 წლის ბოლოსთვის, რეგისტრირებულ ლუდის მწარმოებელთა რაოდენობა 40-მდე გაიზარდა. მათ რიცხვს მიეკუთვნება როგორც დიდი ქარხნები, ასევე მცირე მეწარმეები და საოჯახო ლუდსახარშები. ყოველ მათგანს საკუთარი ნიშა აქვს შერჩეული და სხვადასხვა სეგმენტზე მუშაობს: ადგილობრივი საცალო ბაზრის ათვისება, სარესტორნო ბიზნესი, ცოცხალი არაპასტერიზებული - კრაფტ ლუდის წარმოება, ექსპორტი და ა.შ.

2019 წელს ლუდის ბაზარზე მოქმედი 4 მსხვილი ლუდსახარშია:

1. ნატახტარი - წარმოდგენილი ლუდის ბრენდებით: ნატახტარი, ქარვა, ეფესი, ლოვენბრაუ, ოტინგერი, სტაროპრამენი, კოზელი, ექსტრა, კასრის, მთიელი, კაიზერი;
2. ზედაზენი - წარმოდგენილი ლუდის ბრენდებით: ზედაზენი, ბავარია, რაგნარი, სვიანი, ჰოლსტენი, ნინკასი, ჰარპი, ბელგიუმი;
3. გლობალ ბიერ ჯორჯია - წარმოდგენილი ლუდის ბრენდებით: აისი, კრუშოვიცე, ჰეინეკენი, ამსტელი, არაგველი, ყაზბეგი, კაიაკი, პორტერი, ლუდინგი, შავი ლომი, მირზაანი;
4. არგო - წარმოდგენილია ლუდის ბრენდებით: არგო, ჰერცოგი, ჰოლანდია, კიონიგ პილსნერი



2019 წლის პერიოდში ბაზარზე ლიდერობენ ზედაზენი და ნატახტარი, მათ ჯამში უჭირავთ ბაზრის წილის დაახლოებით 55%, ხოლო დანარჩენ 45%-ს იყოფენ სხვა მოთამაშეები. აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთჩამოთვლილი ლუდსახარში საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილია არა მხოლოდ

ადგილობრივი წარმოების ლუდით, არამედ ცნობილი ევროპული ბრენდების ლიცენზირებული პროდუქციით.

ლუდსახარში კომპანიების დაფარვის ზონაა სრულიად საქართველოს სხვადასხვა სავაჭრო არხი. ლუდის რეალიზაცია ხდება მცირე ზომის მარკეტებში, დიდ სავაჭრო ქსელებში (კარფური, ნიკორა, ფუდმარტი, გუდვილი და ა.შ.), რესტორნებსა და სასტუმროებში. კომპანიების ჭრილში თბილისსა და რეგიონებში გაყიდვების პროცენტული გადანაწილება შემდეგნაირად გამოიყურება:

1. არგო - თბილისი 62%, რეგიონი 38%;
2. ნატახტარი - თბილისი 35%. რეგიონი 65%;
3. ზედაზენი - 40% თბილისი, 60% რეგიონები.

ქართული ლუდის ბაზარზე ახალი ბრენდების გამოჩენასთან ერთად იზრდება კონკურენციის დონეც. შესაბამისად მაღალ ხარისხთან ერთად საუკეთესო ფასის შეთავაზებაც მთავარ გამოწვევად რჩება.

**კომპანია არგო ლუდის გარდა აწარმოებს ლიმონათის უძველეს ბრენდს, ზანდუკელს. 2019 წელს ლიმონათი ზანდუკელი კომპანიის გაყიდვების 18%-ს შეადგენდა.**

ლიმონათის კატეგორიაში არგოს კონკურენციას ნატახტარი და ზედაზენი უწევს. აგრეთვე რეგიონებში მცირე მწარმოებლები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას პროდუქტს სთავაზობენ დაბალ ფასად, ხარისხის დათმობის ხარჯზე.

მაღალი კონკურენციის პირობებში განსაკუთრებით აღსანიშნავია არგოს ბაზრის წილის ზრდა; 2017 წელს ნულოვანი ბაზრის წილიდან 2019 წელს არგოს წილმა 15%-ს მიაღწია, რაც ლუდის ხარისხის კონტროლისა და გემოვნური თვისებების დახვეწასთან ერთად, მმართველი გუნდის მიერ კომპანიის საქმიანობის სწორი მიმართულებით განვითარების შედეგია.

### 3. ფინანსური მაჩვენებლები

სს “არგო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
თანხები მოცემულია ლარში '000

|                                  | 31-დეკ-2019   | 31-დეკ-2018   |
|----------------------------------|---------------|---------------|
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>     |               |               |
| ძირითადი საშუალებები             | 58,908        | 55,377        |
| არამატერიალური აქტივები          | 372           | 792           |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b> | <b>59,280</b> | <b>56,169</b> |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>        |               |               |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები       | 5,987         | 3,433         |
| წინასწარ გაწეული ხარჯები         | 2,011         | 1,607         |
| სასაქონლო მატერიალური მარაგები   | 8,401         | 4,892         |
| ფული და ფულის ექვივალენტები      | 1,509         | 551           |

|                                           |               |               |
|-------------------------------------------|---------------|---------------|
| სულ მიმდინარე აქტივები                    | 17,909        | 10,484        |
| სულ აქტივები                              | 77,189        | 66,653        |
| <b>კაპიტალი</b>                           |               |               |
| საწესდებო კაპიტალი                        | 29,109        | 18,113        |
| გაუნაწილებელი მოგება                      | (14,543)      | (10,185)      |
| მოგება ბიზნესის შესყიდვიდან               | 27,846        | 27,846        |
| მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი          | (7,587)       | (4,358)       |
| <b>სულ კაპიტალი</b>                       | <b>34,825</b> | <b>31,416</b> |
| ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე              | 2,961         | 1,675         |
| გრძელვადიანი სესხები                      | 17,181        | 15,732        |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     | <b>20,142</b> | <b>17,407</b> |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>            |               |               |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები             | 5,705         | 3,695         |
| საგადასახდო ვალდებულება                   | 16,434        | 7,196         |
| გრძელვადიანი სესხის მიმდინარე გადასახდელი | 31            | 150           |
| მოკლევადიანი სესხები                      | 52            | 6,789         |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>        | <b>22,221</b> | <b>17,831</b> |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                  | <b>42,364</b> | <b>35,238</b> |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულება</b>        | <b>77,189</b> | <b>66,653</b> |

სს „არგო“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
თანხები მოცემულია ლარში '000

|                                                     |                |                |
|-----------------------------------------------------|----------------|----------------|
|                                                     | 2019           | 2018           |
| შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან | 30,068         | 23,854         |
| რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება                | (11,362)       | (10,200)       |
| გაყიდვის ხარჯები                                    | (8,025)        | (5,668)        |
| <b>საერთო მოგება</b>                                | <b>10,681</b>  | <b>7,986</b>   |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                   | (4,118)        | (4,178)        |
| სხვა საოპერაციო ხარჯი                               | -              | (334)          |
| <b>საოპერაციო ხარჯი</b>                             | <b>(4,118)</b> | <b>(4,512)</b> |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                            | <b>6,563</b>   | <b>3,474</b>   |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                | (5,511)        | (4,779)        |
| სხვა ფინანსური ხარჯი                                | (3,663)        | (2,649)        |
| წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან           | (1,952)        | (832)          |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავლები                      | 137            | 772            |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი                            | (3,161)        | (344)          |

|                               |          |         |
|-------------------------------|----------|---------|
| არასაოპერაციო ხარჯები         | (14,150) | (7,833) |
| მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე | (7,587)  | (4,358) |
| წმინდა მოგება                 | (7,587)  | (4,358) |

2019 წელს მოხდა გლობალ ბიერ ჯორჯიას მიერ „ყაზბეგის“ ბრენდის შესყიდვა. თუმცა ძლიერი კონკურენციის მიუხედავად, 2019 წელს წინა წელთან შედარებით სს „არგომ მაინც მოახერხა საკუთარი წმინდა რეალიზაციების 23.4%-ით გაზრდა, 23.9 მლნ ლარიდან 29.5 მლნ ლარამდე, რის შედეგადაც კომპანიის საოპერაციო მოგება 89%-ით გაიზარდა 3.5 მლნ ლარიდან 6.6 მლნ ლარამდე.

2019 წლის ივლისში სს „არგომ“ წარმატებით დაასრულა მოლაპარაკებები ცნობილი ბრენდის „Bavaria“-ს მფლობელ, მსხვილ ჰოლანდიურ ინვესტორთან – ბავარია ოვერსიზ ბრიუვერის (Bavaria Overseas Breweries (B.O.B.) III B.V.), რომელმაც გამოთქვა სურვილი სს არგოში ინვესტიციის ჩადებაზე. ამ მიზნით სს „არგომ“ მოახდინა ახალი აქციების ემისია და კომპანიის 40% წილი შეიძინა ინვესტორმა. შედეგად კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 10.5 მლნ ლარით 66.7 მლნ-დან 77.2 მლნ ლარამდე.

კომპანია 2019 წელსაც ტრადიციულად ინარჩუნებდა ქარხნის მატერიალურ ტექნიკური ბაზის გადართობისა და განახლების ტენდენციას და დაახლოებით 3.5 მლნ ლარის ინვესტიცია მოახდინა ძირითად საშუალებებში.

მთლიანად, წინა წელთან შედარებით, 2019 წელს კომპანიის მთლიანი აქტივები 10.5 მლნ ლარით გაიზარდა (66.7-დან 77.2 მლნ ლარამდე).

#### 4. სამომავლო გეგმები

მიმდინარე, 2020 წელს, არგო განაგრძობს ზრდას. ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, განვითარების ტემპი კიდევ უფრო გაიზარდა. დახურული ჰორეკას არხის გამო, შემცირებული შუშის ფორმატის გაყიდვების დასაბალანსებლად, არგომ წინ წამოწია პეტის ფორმატის გაყიდვები. გაზაფხულზე მომხმარებელს გაასინჯა არგოს ახალი სახეობა - თეთრი არგო; ხოლო ზაფხულში მოახდინა ლუდი „გერმანულის“ რებრენდინგი. ახალმა 3 ლიტრიანმა ფორმატმა მალე მოიკვა ყველა რეგიონი, რამაც განაპირობა ბაზრის წილის მკვეთრი ზრდა და ახალ სავაჭრო ობიექტებში შეღწევა. ჩამოსასხმელ ლუდის კატეგორიაში კომპანია არგო კვლავაც ლიდერობას ინარჩუნებს.

ამგვარად, 2020 წელს, პანდემიის მიუხედავად, კომპანია აგრძელებს გაყიდვების ზრდის ტენდენციას და მოელის 2019 წელთან შედარებით გაყიდვების კიდევ 19%-ით გაზრდას 35.1 მლნ ლარამდე.

|                               |          |         |
|-------------------------------|----------|---------|
| არასაოპერაციო ხარჯები         | (14,150) | (7,833) |
| მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე | (7,587)  | (4,358) |
| წმინდა მოგება                 | (7,587)  | (4,358) |

2019 წელს მოხდა გლობალ ბიერ ჯორჯიას მიერ „ყაზბეგის“ ბრენდის შესყიდვა. თუმცა ძლიერი კონკურენციის მიუხედავად, 2019 წელს წინა წელთან შედარებით სს „არგომ მაინც მოახერხა საკუთარი წმინდა რეალიზაციების 23.4%-ით გაზრდა, 23.9 მლნ ლარიდან 29.5 მლნ ლარამდე, რის შედეგადაც კომპანიის საოპერაციო მოგება 89%-ით გაიზარდა 3.5 მლნ ლარიდან 6.6 მლნ ლარამდე.

2019 წლის ივლისში სს „არგომ“ წარმატებით დაასრულა მოლაპარაკებები ცნობილი ბრენდის „Bavaria“-ს მფლობელ, მსხვილ ჰოლანდიურ ინვესტორთან – ბავარია ოვერსიზ ბრიუვერის (Bavaria Overseas Breweries (B.O.B.) III B.V.), რომელმაც გამოთქვა სურვილი სს არგომში ინვესტიციის ჩადებაზე. ამ მიზნით სს „არგომ“ მოახდინა ახალი აქციების ემისია და კომპანიის 40% წილი შეიძინა ინვესტორმა. შედეგად კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 10.5 მლნ ლარით 66.7 მლნ-დან 77.2 მლნ ლარამდე.

კომპანია 2019 წელსაც ტრადიციულად ინარჩუნებდა ქარხნის მატერიალურ ტექნიკური ბაზის გადართობისა და განახლების ტენდენციას და დაახლოებით 3.5 მლნ ლარის ინვესტიცია მოახდინა ძირითად საშუალებებში.

მთლიანად, წინა წელთან შედარებით, 2019 წელს კომპანიის მთლიანი აქტივები 10.5 მლნ ლარით გაიზარდა (66.7-დან 77.2 მლნ ლარამდე).

#### 4. სამომავლო გეგმები

მიმდინარე, 2020 წელს, არგო განაგრძობს ზრდას. ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, განვითარების ტემპი კიდევ უფრო გაიზარდა. დახურული ჰორიზონტის არხის გამო, შემცირებული შუშის ფორმატის გაყიდვების დასაბალანსებლად, არგომ წინ წამოწია პეტის ფორმატის გაყიდვები. გაზაფხულზე მომხმარებელს გაასინჯა არგოს ახალი სახეობა - თეთრი არგო; ხოლო ზაფხულში მოახდინა ლუდი „გერმანულის“ რებრენდინგი. ახალმა 3 ლიტრიანმა ფორმატმა მალე მოიცვა ყველა რეგიონი, რამაც განაპირობა ბაზრის წილის მკვეთრი ზრდა და ახალ სავაჭრო ობიექტებში შეღწევა. ჩამოსასხმელ ლუდის კატეგორიაში კომპანია არგო კვლავაც ლიდერობას ინარჩუნებს.

ამგვარად, 2020 წელს, პანდემიის მიუხედავად, კომპანია აგრძელებს გაყიდვების ზრდის ტენდენციას და მოელის 2019 წელთან შედარებით გაყიდვების კიდევ 19%-ით გაზრდას 35.1 მლნ ლარამდე.

